2. წინადადება მიეცეს ყველა სამეურნეო სახალხო კომისარიატებს, გაერთიანებებს, ტრესტებს კოოპერატიულ ცენტრებს და სხვა ზოგადებრივ ორგანიზაციებს უზრუნველყონ იმ გამოგონებათა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა სისტემატიური დანერგვა, რომლებსაც აქვთ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა.

3. დაევალოს იმავე ორგანოებს გამოყონ თვითეული მხარეში გამოგონებების და ტექნიკურ გაუმჯობესების ხარისხი სპეციალური პირები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან მათი რეალიზაციისათვის, ამასთან დაუწესონ მათი რეალიზაციის კალენდარული გეგმა.

4. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოგონებანი და ტექნიკური გაუმჯობესებანი, რომლებიც იძლევიან იმის საშუალებას, რომ ავიღოთ სახალხო სახის პროდუქცია, შევამციროთ იმპორტი, ან გავაფართოთ ექსპორტი, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი და შევამცირით ხარჯები 100.000 მან. ზევით, უნდა მოექცეს საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ გამომგონებლობის კომიტეტის კონტროლს ქვეშ.

დაევალოს იმავე კომიტეტს დაუწესოს მუდმივი ზედამხედველობა იმ გამოგონებებსა და ტექნიკურ გაუმჯობესებებზე, რომლებიც მოქცეულია მის განსაკუთრებულ კონტროლს ქვეშ, მათი სავსებით ათვისების და წარმოებამდე სახეწრაფოდ დაყვანის მიზნით.

იმ გამოგონებათა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა შესახებ, რომლებიც იძლევიან ეკონომიას 1.000.000 მანეთზე ზევით, ეცნობოს სსრკ შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ გამომგონებლობის კომიტეტს საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ გამომგონებლობის კომიტეტის მეშვეობით.

5. კატეგორიული წინადადება მიეცეს სამეურნეო სახალხო კომისარიატებს, ცენტრალურ უწყებებს და კოოპერატიულ ცენტრებს დაუყოვნებლივ და მთლიანად გაატარონ ცხოვრებაში ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 23 მარტის დადგენილება „ს. ს. ს. რ. საგამომგონებლო ორგანოების შესახებ“

სახკომსაბჭოს პრეზიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნას საქ. სახკომსაბჭოსთან არსებულ გამომგონებლობის კომიტეტის მოხსენება და საქ. მუშათა-გლეხთა სახალხო კომისარიატის თანამოსახლეობა ამ დადგენილების მე-5 მუხლში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

6. წინადადება მიეცეს საქ. სახკომსაბჭოს თან არსებულ გამომგონებლობის კომიტეტს არა უგვიანეს 1 ივლისისა მოახსენოს სახკომსაბჭოს გამოგონებათა რეალიზაციის ერთიანური ჩატარების შედეგები.

7 ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.



ს.-ს. რადიო-მშენა თბილისში ააგო მოკლეტალღოვანი რადიო-სადგური საბჭოთა კავშირის ქალაქებთან თბილისის უშუალო დაკავშირებისათვის.

სურათზე: რადიო-სადგურის სამანქანო განყოფილება

## მომზადებული შევხვდეთ საგამოცდო სესიებს

ივნისში საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებლებში ტარდება საგამოცდო სესიები, საგამოცდო სესიებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ის იქნება სერიოზული შემოწმება უმაღლესი სკოლის მთელი პედაგოგიურ-სახ. პროცესის, იმის შემოწმება, თუ რამდენად ანსორციელებს ესა თუ ის უმაღლესი სასწავლებელი სპეციალისტების მომზადების ცარის 1932 წლის 19 სექტემბრის ისტრუქციით დადგენილებას. სესიებმა უნდა მოგვცეს სერიოზული შემოწმება არა მარტო თვითეული სტუდენტის, არამედ მასწავლებლის და ხელმძღვანელის.

საკავშირო ცეკას დადგენილებაში კატეგორიულად უარყოფილია გამოცდების კოლექტიურად ან სამეულის დანიშნაობის საფუძველზე ჩაბარების პრაქტიკა. სტუდენტებს ცოდნის შეფასებაში მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესორ-მასწავლებლობა შემდეგნაირად და არა აკადემიური ხელმძღვანელის სამკუთხედს, როგორც ეს იყო შემოღებული ბრიგადულ-ლაბორატორიული მეთოდის დროს.

ჩვენში ჯერ კიდევ არის „მომემარჯვენე“ თეორიების ნაშთები სასწავლო-პედაგოგიური პროცესის ორგანიზაციის საკითხებში, ბრიგადულ-ლაბორატორიული მეთოდის გავლენა, ჯგუფის მიერ სტუდენტების შეფასება, პროფესორ-მასწავლებლის გაუპიროვნება, ასისტენტების მიერ გამოცდების მიღება და სხვ. სავსებით კიდევ არ არის აღმოფხვრილი. ამათ ხელს უწყობენ ზოგიერთი მასწავლებლებიც და ცდილობენ თავიდან აიცილონ „ზედმეტი“ შრომა და პასუხისმგებლობა, რაც ეწინააღმდეგება, რომ შირაქის სტუდენტთა მომზადების ინდივიდუალურ შეფასებას თან.

„მომემარჯვენე“ ნაშთებთან ერთად ჩვენს სინამდვილეში აღვილი აქვს მიმარჯვენე პროფსაორიენტაციის ზნეობრივ ფაქტორებს. ყველა საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტის და ინსტიტუტის მიმართ ეს საშიშია. ამ საკითხებზე ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ.

სესიებზე ჩაბარების ფორმალური მეთოდი ყველაზე მეტად ავნებს სტუდენტების ინტერესებს. ამ ფორმალური მეთოდის ბრალია, რომ ზოგიერთ სტუდენტს ჯერ კიდევ ბევრი კითხვების, დეტალების და შემთხვევითი საკითხების დასმა. წინასწარ უნდა იქნას განსაზღვრული სასწავლო საგნები და და ყველანი თვითეულ სტუდენტამდე. სასწავლო საგნები არ უნდა აღემატებოდეს 3—4 დისციპლინას.

სასტიკად უნდა აიკრძალოს სასწავლო ისეთი საგნის გამოცხადება, რომელიც სასწავლო გეგმით არ ყოფილა წინასწარ გათვალისწინებული, გამოცდები უნდა წარმოებდეს მოცემულ დისციპლინის ჩვეულებრივი პროგრამით. იმ შემთხვევაში როდესაც ამა თუ იმ დისციპლინის ჩაბარება ხდება, ნაწილ-ნაწილად, რამოდენიმეჯერ, (თითეულ სემესტრის ან წლის ბოლოს) გამოცდას სტუდენტი აბარებს იმ ნაწილში, რომელიც მან შეისწავლა მოცემულ სემესტრში.

სტუდენტებს, რომ შეუმუშავებდეს გამოცდების ჩაბარება გამოცდის დაწყებამდე საჭიროა კურსის მთავარ განმეორება.

არ შეიძლება გამოცდების ერთი რომელიმე სჭიმატიური მეთოდის მიღება, გამოცდის მეთოდი უნდა განისაზღვროს საგნის სპეციფიკით და სასწავლებლის პროფილით, ამიტომ გამოყენებულ უნდა იქნას გამოცდების სხვადასხვა მეთოდი.

მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოიფიქროს საკითხები, რომ სტუდენტს გამოცდა არ გადაიქცეს შემთხვევით პასუხად შემთხვევით დასმულ საკითხებზე.

ყველა ამისათვის საჭიროა კათედრებმა თავიანთ სხდომაზე სპეციალურად დაამუშავონ საგამოცდო სესიების ჩატარების საკითხი. გამოცდები არ შეიძლება ჩატარდეს გამოკეტილ კარებში, მაგრამ ჯგუფის მთლიანად დასწრებაც არ არის მისაღები, დასწრება უნდა ხდებოდეს ხუთეულის მიხედვით. ისიც იმ პირობით, თუ იქნება დატული წესრიგი.

გამოცდებს იღებს კომისია, რომელიც დანიშნება სასწავლებლის დირექციიდან ორი წევრის შემადგენლობით იმ პირობით, რომ კომისიის ერთი წევრი აუცილებლად მოცემულ დისციპლინის მასწავლებელი იქნება. აღრიცხვა უნდა წარმოებდეს ითხნიშნის მიხედვით. **ბრალდებულის არსებული** — როცა სტუდენტს არ ესმის მოცემული დისციპლინის არსება და მეთოდი, ვერ შეითვისა მისი ძირითადი შინაარსი და ამტომაც არ შესწევს უნარი, რომ გადაჭრას მოცემული დისციპლინის შესწავლაზე. **დამაკავშირებელი** ნიშანი — იმ შემთხვევაში თუ სტუდენტმა შეითვისა მოცემული მეცნიერების ძირითადი ნაწილები და შეუძლია შემდეგ დისციპლინაზე გადასვლა, **კარები** ნიშნავს დაიხსნა მაშინ, როდესაც მთელი წლის მუშაობიდან და შემოწმებიდან გამოირკვა, რომ სტუდენტს წარმატებით აქვს დამუშავებული მოცემული დისციპლინის მთელი პროგრამა. სწორად შეუძლია გამოხატვას ყველა მისი ძირითადი მომენტები და შეიძლია მისი გამოყენება პრაქტიკაში. **ფრიად კარგი,**— როცა სტუდენტმა არა მარტო მთლიანად და წარმატებით დაამუშავა და შეითვისა მოცემული დისციპლინის პროგრამა, არამედ აგრეთვე გვიჩვენა უნარი დეტალებიდან მეცნიერულ განზოგადოებაზე და სწორ დასკვნაზე გადასვლის და თავისუფალ ორიენტირების საკითხებში.

სტუდენტის წარმატებას საბოლოოდ შეაფასებს გამოცდის ხელმძღვანელი, რომელ

# იაპონია-ჩინეთის შეთანხმება
## დროებითი ზავის შესახებ

**შანხაი**, 1 ივნისი. გუშინ კვანტუნის ჯარის შტაბის უფროს ოკავარას და ჩინეთის ჯარის შტაბის უფროს ხიუნ პინის მიერ ხელმოწერილ იქნა იაპონია-ჩინეთის შეთანხმება დროებითი ზავის დადების შესახებ. დადებულ იქნა შემდეგი შინაარსის შეთანხმება:

1. ჩინეთის ჯარი იხევს იანცინ-ჩანპინ-შუნი - ტუნჯოფუს - ლინტინ, ნინხე-ლუტაის ხაზის დასავლეთის და სამხრეთისაკენ და კისრულობს არ გადმოსცილდეს ამ ხაზს, ამასთან თავი შეიკავოს პროვოკაციული მოქმედებისაგან.

2. იაპონიის ჯარას უფლება ეძლევა ყოველ მომენტში გაუწიოს მეთვალყურეობა შეთანხმების პირველი პუნქტის შესრულებას, აგრეთვე ნანკინ-ის გაგზავნის გზით ან სხვა საშუალებებით.

ჩინეთის ხელისუფლება ვალდებულია დახმარება გაუწიოს იაპონელებს ამ მიმართულებით და გააყოლოს მათ მცველები.

3. მას შემდეგ, როცა იაპონიის ჯარი დარწმუნდება იმაში, რომ ჩინეთის ჯარმა შეასრულა შეთანხმების პირველი პუნქტი, იგი უარს იტყვის ჩინეთის ჯარის დევნაზე დაწესებული ხაზის გადალმა და დაიხევს დიდი კედლისაკენ.

4. ჩინეთის პოლიცია კისრულობს დაიცვას წესრიგი ჩინეთის ჯარის გა ხაყვანად დაწესებულ ხაზის და დიდი კედლის შორის არსებულ ზონაში.

5. შეთანხმება შედის ძალაში დაუყოვნებლივ მისი ხელმოწერის შემდეგ

იაპონია-ჩინეთის მოლაპარაკების დროს ტანგუში (პატარა სადგური ტიანძინ-შანხაიგუანის რკინის გზაზე)—ის სადგური გამოცხადებული იყო სამხედრო წესებზე. შეთანხმებაზე ხელისმოწერა მოხდა იაპონიის სანაოსნო კომპანიის სადგომში (ადს).

## ფინ-იუი-სიანინ ქავშირი იაპონიის მილიტარისტებთან

**ტოკიო**, 31 მაისი. იაპონური წყაროებიდან ვიგებთ, რომ „წარმატებით ვითარდება ფინ-იუი-სიანის მოძრაობა ჩინ კაი-შის წინააღმდეგ". ამასთან აღნიშნავენ, რომ ფინ-იუი-სიანს მხარს უჭერენ ხინ-შანი და კანტონის დაჯგუფება. ფინ იუი-სიანს, თითქოს, ტაქტიკური მოსაზრებების გამო, არ შეძლია უარი სთქვას იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგზე. მაგრამ, სინამდვილეში, იგი ემზადება იაპონიასთან თანამშრომლობისათვის, უარს აძ-

ბობს მანჯოუგოს წინააღმდეგ ბრძოლაზე და თანახმაა შეეფარდოს „დამოუკიდებელ" ჩრდილოეთ ჩინეთის მთავრობას დ ტრონა; ან სხვანაირად რომ ვთქვათ, ფინ იუი-სიანი, იაპონური წყაროებიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, თანახმაა დაჯუფდეს ფინ-იუი-სიანს, თითქოს, ტაქტიკური მოსაზრებების გამო, არ შეძლია უარი სთქვას იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგზე. მაგრამ, სინამდვილეში, იგი ემზადება იაპონიასთან თანამშრომლობისათვის, უარს აძლევს ღებულობენ კვანტუნის არმიის შტაბის უფროსის მოადგილე ოკამურა და ჩინეთის ჯარების შტაბის უფროსი ბეიპინში სუნინი (ადს).

—:—

## ოფიციალური მოლაპარაკება დროებითი ზავის შესახებ

**ტოკიო**, 31 მაისი. გამოქვეყნდა კვანტუნის არმიის ოფიციალური ცნობა, რომ 30 მაისს ტანგუში დაიწყო ოფიციალური მოლაპარაკება დროებითი ზავის დადების შესახებ და რომ მოლაპარაკებაში მონაწილეობას ღებულობენ კვანტუნის არმიის შტაბის უფროსის მოადგილე ოკამურა და ჩინეთის ჯარების შტაბის უფროსი ბეიპინში სუნინი (ადს).

—:—

## ანტისაბჭოთა გლოკი
### 4 სახელმწიფოს პაქტის პროექტის ტექსტი

**ლონდონი**, 31 მაისი. რომში ოფიციალური წესით გამოქვეყნდა 4 სახელმწიფოს პაქტის პროექტი. ეს ტექსტი შეიცავს შემდეგს:

„ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები გრძნობენ თავის პასუხისმგებლობას როგორც ერთა ლიგის საბჭოს წევრები — პასუხისმგებლობას ლიგის და მისი წევრების მიმართ; როგორც ლოკარნოს ხელშეკრულების მონაწილენი გამოდიან რწმენიდან, რომ მოუსენებრობის მდგომარეობა, რაც გამეფებულია მთელ მსოფლიოში, შეიძლება მოისპოს მხოლოდ მტკიცე მეგობრული გრძნობების გაძლიერებით; ადასტურებენ წერას თავის რწმენას მშვიდობიანობისადმი; ერთგულნი არიან ერთა ლიგის, ლოკარნოს ხელშეკრულების და კელოგის პაქტის ვალდებულებების; ადასტურებენ დეკლარაციას ძალის გამოუყენებლობის შესახებ, რომლის პრინციპი მიღებული იქნა 2 მარტს განიარაღების კონფერენციის მიერ; გამსჭვალულნი არიან სურვილით მთლიანად დაეთანხმონ პაქტის ყველა დადგენილებებს და პატივისცემით ეკიდებიან თვითეულ სახელმწიფოს უფლებებს, — რის გამო სდებენ შემდეგ შეთანხმებებს:

1. ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები თანახმა არიან, რომ ყველა საკითხები, რომლებიც მათ შორის წამოიჭრება, განიხილებოდეს ერთა ლიგის ფარგლებში, მშვიდობიანობის შენარჩუნების ინტერესებისათვის თანამშრომლობის ეფექტიური პოლიტიკის უზრუნველყოფის მიზნით.

2. ერთა ლიგის წესდების მუხლების დაკრძოდ მე-10, 16 და 19 მუხლის გამოყენების შესახებ ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ადგენენ განიხილონ ეს საკითხები, აგრეთვე ყველა წინადადებანი, რომელთა მიზანია ამ პაქტის მუხლების სრული განხორციელება, ერთა ლიგის დამსმარე ორგანოების საშუალებით.

3. ანახლებენ რა თავის 1932 წლის 11 დეკემბრის საერთო გადაწყვეტილებებს, ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები დისკუსიას საფუძვლად უდებენ განიარაღების კონვენციის ბრიტანულ პროექტს, რაც განიარაღების კონფერენციას საშუალებას მისცემს მოამზადოს კონვენცია, რომელიც უზრუნველყოფს შეიარაღების არსებით შეცირებას და შეზღუდვას. გერმანია აღიარებს, რომ ყველა სახელმწიფოების უშიშროების უზრუნველყოფელი რეჟიმის ფარგლებში მას არ შეუძლია მიაღწიოს თანასწორუფლებიანობას სხვანაირად, თუ არ ეტაპობრივ, ერთა ლიგის წესდებასთან შეთანხმებით.

4. ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები თანხმდებიან, გაუწიონ ერთმანეთს კონსულტაცია ყველა საკითხებზე და განსაკუთრებით ევროპის ეკონომიური აღდგენის საკითხებზე.

5. ეს შეთანხმება ძალაში 10 წლის ვადით, დაწყებული სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის მომენტიდან. იგი ავტომატიურად ვა ნახლდება, თუ მე-8 წელში არ იქნება მიღებული განცხადება შეთანხმების შეწყვეტის შესახებ. განახლების შემდეგ, იგი გაგრძელდება განუსაზღვრელი პერიოდის განმავლობაში, ამასთან ხელშეკრულების დამდებ თვითეულ მხარეს აქვს უფლება შეწყვიტოს შეთანხმება ამაზე 2 წლით ადრე შეტყობინების შემდეგ.

6. შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა უნდა მოხდეს რაც შეიძლება მოკლე ვადაში, რის შემდეგ შეთანხმება აღირსება ერთა ლიგაში".

რეიტერის საგენტოს გადმოცემით, იური დიული ექსპერტებს ჟენევაში დღეს შეაქვთ უკანასკნელი შესწორებანი ამ ტექსტში. ხვალ მთელიან მასზე წინასწარ ხელს მოაწერენ ლონდონში საგაითველოში დილით და საღამოთი იქნა უმეტესად მოწონებული და წვრილმანი ამრიდე. საღამოთი ღრუბლიანობა შემცირდა. მცირე, რაოდენობა ნალექების მოვიდა ზუგდიდის (7) და წალენჯიხის (3 მმ.) რაიონებში. დაბარომეტრ რაიონებში ნაოლბთა რაოდენობა არ აღემატებოდა 4 მმ-ს ტემპერატურა ირყეოდა +13 გრ-დან (ხულო, შოვი)+30 გრ-მდე. (სამტრედია. ლამთი+7 გრ-დან (ურეკი)+ 12 გრ-მდე (ფოთი). ფოთის რაიონში დილით ჭარბობდა ძლიერი სამხრეთ-დასავლეთის ქარი.

აღმოსავლეთ საქართველოში იყო ცალკეული მოღრუბლულობა, სუროამის, ბორჯომის, ცხინვალის და ლაგოდეხის რაიონებში ნალექი არ მოსულა. ტემპერატურა ღამით +7 გრ-დან (ახალციხე)+21 გრ-მდე (ლაგოდეხი) ღამით +1 გრ-დან (გუდაური)+14 გრ-მდე (თელავი). თბილისის რაიონში ღამით ჰაერის დასავლეთის ძლიერი ქარი.

ამიერ კავკასიის მდინარეთა მდგომარეობა 1-ლ ივნისისათვის. აღმოსავლეთ საქართველოს და ახერბეიჯანის მდინარეებზე შემჩნეულია პორიზონტების უმნიშვნელო დაწევა. მდინარე მტკვრის პორიზონტი თბილისთან 1 ივნის 13 საათზე უდრიდა 151 სანტ.

აშ.-კ. ჰ.მ.ს. ამინდის ინსტიტუტი

# ამინდის მიმოხილვა საქართველოში
### გასულ დღე - ღამის განმავლობაში

# ქრონიკა

დისპუტი 2 ივნის, საღამოს 7 საათზე, მელიქიშვილის სახელობის გამოყენებითი ქიმის ინსტიტუტში (კამოს ქ. № 34) გაიმართება დისპუტი შემდეგ თემაზე: „ელექტრონაციონალური თეორია ორგანული ქიმიაში". დისპუტში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან: პროფ. მოსე შვილი პროფ. ვ. ტერ-მაზარიანი, პროფ. ე. მელაია, პროფ. ი. ცინცაძე. პროფ. ნიკოლაძე, პროფ. ვ. კანდელაკი პროფ. ა. შარია, დოცენტი ჰეტროვა, დოცენტი ჰ. რ. ნიკოლაძე პროფ. ე. კანდელაკი პრ. ჰ. ტი ბერეულაძე ინე. ბოჭოკაშვილი ქ. მანჯგალაძე, ინჟენერი გ. კუპერმანი, ინჟ. ცისკარიშვილი და ყველა დაინტერესებული მოქალაქენი.

2 ივნისს, საღამოს 8 საათზე მწერალთა სახლეხში დრამატურგი ვახტანგ ვაშნაძეს წაიკითხავს მოხსენებას: „საბჭოთა დრამატურგიის სადაო საკითხები". მოხსენების შემდეგ კამათი. შესვლა თავისუფალია.

## დამატებითი სახ. მატარებელი საგარეჯოდმე

ქახეთის შტოზე მატარებლების განტვირთვის და მგზავრებისათვის უკეთესი პირობების შექმნის მიზნით, ა-კ. რკ. გზის დირექციამ ტფილის - საგარეჯოს უბანზე დანიშნა დამატებითი სახალხო მატარებელი № 121—122.

მატარებელი ტფილისიდან გადის დღის 3 საათზე და 55 წუთზე, საგარეჯოში მიდის საღამოს 7 საათზე და 07 წუთზე. საგარეჯოდან ბრუნდება 7 ს. 52 წუთზე და ტფილისში მოდის ღამის 10 საათზე და 45 წუთზე.

მატარებლის შემადგენლობაში გამოყოფილია სამი ვაგონი ნავთლუღისათვის.

# ოფიციალური განკოფილება
### დადგენილება № 22

საქ. შრომის სახ. კომისარიატისა
1933 წ. 31 მაისს 31-ს

### რაიონების სასამართლო ორგანოების იუსტიციის დარგის კადრით გაწილიერების შესახებ

რაიონების სასამართლო ორგანოების იუსტიციის დარგის კადრით გაძლიერების მიზნით, საქ. შრომის სახკომისარიატი ადგენს:

1. ქვემოხსენებული პირნი (იხ. თანდართული სია) მობილიზებული იქნენ სხვადასხვა რაიონებში ერთი თვის ვადით სამუშაოზე დასანიშნავად.

2. მობილიზებული მუშაკნი ვალდებულნი არიან დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, 24 საათის განმავლობაში გამოცხადდნენ საქ. იუსტიციის სახკომისარიატის სათანადო განყოფილებაში და უკანასკნელის მითითების გათვალისწინებით დანიშნულებისამებრ:

3 დაწესებულებების ხელმძღვანელებს წინადადება ეძლევათ პირადი პასუხისმგებლობით აღნიშნული მუშაკნი დაუყოვნებლივ განათავისუფლონ სამსახურიდან და მოავლინონ საქ. იუსტიციის სახკომისარიატს განკარგულებაში.

4. რაიშრომის ინსპექტორებს ევალებათ თვალყური ადევნონ ამა დადგენილების დროზე შესრულების და დადგენილების დამრღვევი პირნი მისცენ პასუხისგებაში.

ს ი ა

ლორთქიფანიძე დავით — ყიფიანის ქ. № 7, ქორქიშვილი გრიგოლ — ათარბეკოვის ქ. № 31, ლორთქიფანიძე დავით — დამცველთა კოლეგიის წევრი, გრიგოლიშვილი სერგო — დამცვ. კოლეგიის წევრი, ქამუთაძე აკაკი — კუორატიძისგანი, ყეყინიანი დავით — კავშირგაბმულობის სამართვეველო, მაჩაბლიშვილი ალ.—საბინაო კავშირი, ლომია პლატონ — დამცვ. კოლეგიის წევრი, მოსესიანი — ა-კ. მუშგალუბნი და კუჭავა მ. — მაუდის ფაბრიკა.

საქ. სსრ შრომსახკომი —
ლ. მოკრილაძე.
შრომსახკომის კოლ. წევრი კადრების სექტორის გამგე — ციცაგი.

# კარტიული და საბჭოთა პასუხისმგებლობა

— 2 ივნისს, საღამოს სრულ 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და თბილისის კომიტეტის სხდომის დარბაზში, თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილება იწვევს ქ. თბილისის შპალღეს სასწავლებლების და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების კომუნისტების კონფერენციას.

დღის წესრიგი: 1. პარტმასიური მუშაობის მდგომარეობის და ახალი 1933—34 სამოსწავლო წლისთვის მოსამზადებელი მუშაობის პარტხელმძღვანელობით უზრუნველყოფის შესახებ. (საქ. სახ. უნივერსიტეტის პარტკომის, საქ. საიმშენებლო ინსტიტუტის და საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტკოლექტივების მოხსენებები). კომფერენციას ა.უცილებლად უნდა დაესწროს ქ. თბილისის უმაღლესი სასწავლებლების და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების სამკუთხედების.

საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომიტეტის საორგ. განყ. გამგე ბ.ორდელაძე.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის პარტკლუბება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ ც. საკ. კომისიაში ოთახი № 12 ამხ. მეტრნომიძესთან სამი დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი საქმე განხილულ იქნება მათ დაუსწრებლად: სერაფიონ და წვრილის დედანი ცაგერის რაიონის შედონაძე, რინენბერგი (სახტარის დირექტორ სახეე.

# კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვის ათდღიურის ჩატარების შესახებ
### (საქ. მიწსახკომის კოლეგიის დადგენილება)

საგაზაფხულო თესვის დამთავრებისა და გამარჯვება - დამუშავების საშუალოთა დაწყებასთან დაკავშირებით, — გაზაფხულის თესვის განმავლობაში კოლმეურნეობის მიერ გამომუშავებული შრომა-დღეების შეჯამების და ნაოხრების დაშეშავების პერიოდში გამოსამუშავებელ შრომა-დღეების აღრიცხვის მოსაწესრიგებლად გამოცხადებულ იქნას შრომის აღრიცხვის ათდღიური ა-ჯ. ივნისის 1-დან 10-მდე.

### ათდღიურის მიზანია

1. შემოწმებულ იქნეს ყველა კოლმეურნეობებსა და ბრიგადებში საწარმოო დავალებათა შესრულება და საბოლოოდ გამორკვას ცალკე კუთხურებით ფაქტიურად დათესილი ფართობი ბრიგადებისა და კოლმეურნეობების მიხედვით.

2. ჩატარდეს ბრიგადების მიერ გაზაფხულის თესვის პერიოდში შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის შემოწმება, რისთვისაც კოლმეურნეობებსა და ბრიგადებში გამოიყოს სამიწათმოქმედო ინსპექციები (ხარისხის ინსპექციები) ორი ბრიგადირის შემადგენლობით, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით და შესრულების სამუშაოთა ხარისხის შემოწმების შესახებ მათ მიერ შედგენილი აქტების საფუძველზე მოხდეს ბრიგადებისა და კოლმეურნეებისათვის შრომა-დღეების დარიცხვა.

3. შემოწმებულ იქნეს რაიმიწგაზებისა და სამ ხატრ. სადგ. ინსტრუქტორთა მეშვეობით ყველა კოლმეურნეობათა უზრუნველყოფა აღრიცხვის ფორმებით და კერძოთ— დარიგებული აქვს თუ არა ყველა კოლმეურნეს შრომისა და საწევრო წოვაკების, დანაკლისის შემთხვევაში — მიიღონ ზომები აღრიცხვისა და ანგარიშგების ფორმებით კოლმეურნეობათა მოსამარაგებლად ა-წ. ივნისის 10-მდე.

4. შემოწმებულ იქნეს ყველა კოლმეურნეობებსა და ბრიგადებში შრომის პირველადი აღრიცხვის მდგომარეობა (შრომის ყოველდღიური აღრიცხვა სახელობითი ნუსხების მიხედვით და შრომა-დღეების თავის დროზე ჩაწერა კოლმეურნეთა შრომის წიგნაკებში).

5. შემოწმებულ იქნეს კოლმეურნეობათა მოანგარიშეების მუშაობის ხარისხი. კოლმეურნეობათა უზრუნველყოფა მოანგარიშეებით და დასახულ იქნეს კონკრეტული ღონისძიებები აღრიცხვის საქმის გასაუმჯობესებლად.

6. მოეწყოს შრომა-დღეების დარიცხვისა, შრომის წოვნაკებში შრომა-დღეების ჩაწერისა და ავანსების განაწილების მასიური შემოწმება სარევიზიო კომისიების მეშვეობით. განხილულ იქნას შემოწმების შედეგები პრეზიდიუმის და მთლიანად კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიების განყოფილებაში და უკანასკნელის მითითების გათვალისწინებით დანიშნულებისამებრ:

7. შემოღებულ იქნეს პრაქტიკაში, როგორც ათდღიურის განმავლობაში, ისე შემდეგშიაც რაიონულ დაწესებულებათა და საწარმოთა შეფობა კოლმეურნეობებზე აღრიცხვის საქმის დაყენებასთან და მათ ბუხმალტერები კოლმეურნეობათა ბუხმალტერებზე მათი ბუხმალტერიის კოლმეურნეობათა ჯგუფებს. შეძლებისამებრ ერთი სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ამ კოლმეურნეობათა მოანგარიშეებისათვის დახმარების აღმოსაჩენად და საკოლმეურნეო აღრიცხვის საკითხებზე სისტემატიური ინსტრუქტაჟის გასაწევად.

8. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარისტანის მიწსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის მიწათმოქმედების საოლქო სამმართველოს, ყველა რაიმიწგანყებს და სამანქანო სატრაქტორო სადგურს უზრუნველყონ ათდღიურის ჩატარება კონკრეტულ - ოპერატიული ხელმძღვანელობით. რისთვისაც კოლმეურნეობათა თვითეულ ჯგუფს მიაგრონ თავიანთი ინსტრუქტორები და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

12. ყველა რაიმიწგანყოფილება არა უგვიანეს ივნისის 15-ს მოისმინოს რაიონში ათდღიურის ჩატარების შედეგები აღრიცხვის მდგომარეობის შესახებ და დასახოს კონკრეტული ღონისძიებები აღრიცხვის შემდგომ მოსაწესრიგებლად და სათანადო მუშაობის განსამტკიცებლად.

13. წინადადება მიეცეს ყველა რაიმიწგანს და სამ. სატრ. სადგურს წარმოუდგინოს არა უგვიანეს ა-წ. ივნისის 20-ისა საქ. მიწსახკომის შრომის ორგანიზაციისა და შემოხაზულის განაწილების სექტორს მოხსენება ათდღიურის ჩატარების შედეგების შესახებ.

საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე ვ. გოგებაშვილი.

# ახალციხის ქვანახშირი

გამოყენებითი ქიმიის ამიერ-კავკასიის სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტმა დიდი მუშაობა ჩაატარა ახალციხის რაიონის ქვანახშირის შესასწავლად.

გამოყენებითი ქიმიის ინსტიტუტის მუშაობის წინასწარი შედეგები იძლევიან ახალციხის ქვანახშირის ხარისხის სრულ სურათს. ინსტიტუტი ამ ქვანახშირს აკუთვნებს მურა ქვანახშირის ტიპს, მაგრამ მას უფრო კარგი ხარისხობრივი მაჩვენებლები აქვს, ვიდრე სხვა საბადოების ანალოგიურ ქვანახშირს (მაგალითად, „პოდმოსკოვნი"-ს, ბობრიკის, ლისიჩანის, ჩერემხოვის და სხვ. საბადოების).

სისოველის საშუალო შემცველობა ახალციხის ქვანახშირში მერყეობს 13,5 პროცენტის ფარგლებში, გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე „პოდმოსკოვნი"-ს ქვანახშირში; ნაცრიანობა 12,8 პროცენტიდან 24,3 პროცენტამდე; გოგირდი 1,6 პროც. 1,5 პროცენტამდე. ახალციხის ქვანახშირის სითბოუნარიანობა — უმცირესი აღწევს 3.980-დან 4.991 კალორიამდე, მაშინ, როცა ბობრიკის ქვანახშირის უმცირესი სითბოუნარიანობა შეადგენს 3.000 კალორიას.

ახალციხის საბადოს ქვანახშირის გამდიდრებამ დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა იმ მხრივ, რომ გაიზარდა კონცენტრანტების შემცირებული ნაცრიანობით.

ინსტიტუტმა ჩატარა ქვანახშირის გამდიდრება ნახევრადკოქსებაზე: ნახევარკოქსის გამოსავლა მერყეობდა 54-დან 68 პროცენტამდე. ახალციხის ქვანახშირისაგან მიღებულ ნახევრადკოქსის გამოყენება შეიძლებელია ტყვარჩელის ქვანახშირთან დაკავშირებით კოქსის მისაღებად. ეს საკითხი დამუშავებულ უნდა იქნას, უმთავრესად, ეკონომიურ ნაწილში.

ახალციხიდან ქვანახშირის ტიბილისში გადმოზიდვის ხაზით ჩატარებულმა ცდებმა ცხადყო ქვანახშირის სრული ტრანსპორტაბელობა და გაავარჯყა ზოგიერთი სპეციალისტების აზრი, თითქოს, ახალციხის ქვანახშირი ვერ იტანს ტრანსპორტირებას და შეინახვას. გადაზიდვის დროს ქვანახშირმა შეინარჩუნა ყველა თავისი დადებითი თვისებები, იგი არ დაფშვნილა და არ დამსკდარა შენახვის დროს.

ახალციხის ქვანახშირის საბადოების გამოკვლევის წინასწარი შედეგების მიხედვით ქვანახშირის გეოლოგიური მარაგი რაიონში უდრის 180 მილიონ ტონას, ქვანახშირის სამრეწველო მარაგი — 60 მილიონ ტონას.

თუ გავითვალისწინებთ ახალციხის ქვანახშირის მაღალ სითბოუნარიანობას, გამოყენებითი ქიმიის ა-კ. სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტის აზრით რეალურად შეიძლება დაისვას საკითხი მისი ენერგიული გამოყენების შესახებ. ამავე დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ქვანახშირის დაბრიკეტებას (ადს).

ა.-კ. გამოყენებითი ქიმიის ინსტიტუტის ნახ [illegible] ლაბორატორიაში ბატარეის ბატარეი: იოს. ბრ. ბიოკრაბ-ბიანი და ქიმიკ. ლ. ციციშვილი იკვლევენ ახალციხის ნახშირის სითბოუნარიანობას

# ხელისუფლების ქალაქის კინო-თეატრები:

| | |
|---|---|
| **დამკვრელი** 9, 11. | I სერია ვის-ვინდ პრკ. გარეშე სკ# № 11 |
| **ეთერი** 9. 11 | სახლვარგარეთული ფილმი 11 ეშმაკი პრ. გარ —სკ. № 3. |
| **ტემპი** (ყ. დარბაზი) 9, 11 | მხატვრული ფილმი ორი შეხვედრა პროკ. გარ სავუშაოზე № 4 |
| **ოქტომბერი** 7, 8-45, 10-30. | ფანტას. ტფილისში კაინი და არტემი პროკ. გარ. ხმოვანი სკ# № 4 |
| **დამკვრელი** 6-30, 8, 9-30, 10-30 | I სერია კინო-რომანია მის-ვინდ პროკ. გარეშე—ს. კ. ნ. № 11 |
| **რ. ლიუქსემბურგის** 7, 8-45, 10-30 | ახალი ხმოვანი ფილმი სიცოცხლე პროკ.რამის გარეშე სკ#. № 9 ხმოვანი |
| **სპარტაკი** 6-30, 8-30, 10-30 | სათავადასავლო ფილმი ფითელი ეშმაკუნები |
| **საბავშო** კინო | საბავშო ფილმი ვანკა და შურის მაძიებელი |
| **მეცნიერება** ⁊ ტეხნიკა | ეთნოგრაფ. ფილმი. მოწლოლია ფილმი |

# განცხადება

ამით ეცნობება ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებს და მოქალაქეთ, რომ თანახმად სადირექტივო ორგანოების დადგენილებისა, საქ. მომარაგების სახ. კომისარიატთან არსებული დარგობრივი განაერთი „საძგბალზოსტანი" და „საძკონსერვტრესტი" მთელი თავიანთი აქტივით და პასივით ა-წ. 1 იანვრისათვის შეერთებულ იქნენ „გლავკონსერვი"-ს სისტემის ერთ ორგანიზაციათ სახელწოდებით:

## „საქკონსერვბალზოსტანტრესტი"

ამ უკანასკნელს უნდა მიმართონ ზემოხსენებულ ორგანიზაციებმა და მოქალაქეებმა ყველა იმ საკითხებზე, რომელნიც აღიძრა მიმდინარე წლის 1 იანვრიდან, შემდეგი მისამართით: ლუნაჩარსკის ქ. № 8—„საქკონსერვბალზოსტანტრესტი". ტელეფონი № 3—43. 412

# რაიგანათლების განყოფილებათა საყურადღებოთ

განსაკოთხი და სახკინემატოგრაფო აცხადებს, რომ რაიონებზე განაწილებული სასკოლო კინო აპარატები თუ არ იქნება შესყიდული 15 ივნისამდე, გაიყიდება სხვა ორგანიზაციებზე: ნ. 71


სხვადასხვა კინო-ქრონიკა

მხოლოდ 3 დღეს
უკანასკნელად ტფილისში
1933 წ. 2 ივნისიდან
მაქსიმ გორკის ნაწარმოების მიხედვით
მხატვრული ფილმი
კაინი და არტემი
რეჟისორი პეტროვ-ბიტოვი.
მთავარ როლებში—ელენა ეგოროვა, ნ. სიმონელოვი. ბ. ტალ.
სეანსები—7, 8—45, 10—30. ნ. 72

განათლ. სახკომისარიატის ნებართვით ზაფხულში
ვამზადებთ მოწაფეებს
უმაღლ. სასწ-ში, ტეხნიკუმებში და მუშფაკებში შესასვლელ საკონკურსო გამოცდებისათვის.
პირობები გაიგება: თბილისი, ჯარგარეთელის ქ. № 3-A 1-ლი სართული მარცხნივ (ყოფ. პირაგოვის ქ.) კინო „ოქტომბრის" მახლობლად.
ნახვა: დილით 8 ს-მდე, საღ. 4—7 ს-მდე. 571

ჯ. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრო-ორთქვლენით და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად ძნელაძის ქ. (ყოფ. საბაორის) 19, იღება დილით 10—1 ს. და საღ. 6—8 ს. შესავალი ძნელაძის შესახვევიდან. 25—11

ორჯონიკიძის (ყოფ ხარაგოულის) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი უდრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ამხ.
ხარიტონ ხაცკევიჩის
უდროოდ გარდაცვალების გამო. 674

საქართველოს კომუნისტური პარტიის ხონის რაიკომი და რაიაღმასკომი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამხ.
ხარიტონ ხაცკევიჩის
ტრაღიკულად დაღუპვას. 674

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომი და რაიაღმასკომი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ გამობრძმედილი ბოლშევიკის, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივნის ტრანსპორტის ხახით
ამხ. ხარიტონ ხაცკევიჩის
ტრაღიკულად გარდაცვალების გამო.

საქ. კ. პ. (ბ) ხონის რაიკომი და რაიაღმასკომი უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ
ამხ. ხარიტონ ხაცკევიჩის
ტრაღიკულად გარდაცვალების გამო.

ლენინაიონის ქალთა აქტივი მწუხარებას გამოსთქვამს ჩვენი ამხანაგის მაროს შვილის
ვახტანგ ჩოგოვაძის
უდროოდ დაკარგვის გამო. 655

დამწუხრებული ცოლი ნინა, შვილები: კოკა, სოფიკო, დედა მარიამი, ძმა მელენტი ცოლით მაროთი, დასტირიან
გეგასიშვ ნიკოლ.-ძე ჩაგლეიშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 7 ს. გამოსვენება 3 ივნისს, მუხრანის ქ. № 11, ივლაბრის სასაფლაოზე. 666

დამწუხრებული მშობლები: მენიკო, ბახვა, დები: ლიდა ქმარშვილით, თამარა, აგრაფინა, ძმები: ანაპოდისტე, კოლია აუწყებენ ხათესავ-მეგობრებს, რომ 2 ივნისს დანიშნულია მათთვის ძვირფას, დაუვიწყარ
ოლია კვანტალიანის
სამოქალაქო პანაშვიდი, 674

დამწუხრებული მამა ივანე, ძმები: კოსტა, ალექსანდრე, დაი ოლია გაბელიები იუწყებიან მათთვის ძვირფას
მარია (ქობუ) ჩიქოვანის
უდროოდ გარდაცვალების. დაკრძალვა მოხდა 1 ივნისს აბაშაში. 674

მწუხარებაში მყოფნი. მეფულე დარიკო, შვილები: ელენა, არტემი, ტარასი, გრიგოლი, ბიქტორი, გრეშა, რძალი ქეთო სულუნიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის ხაყვარელი
კონსტანტინე ივანეს-ძე სულუხია
დაკრძალვა ხონში 3 ივნისს. 674

დომენტი, პაველ და ანთიმოზ ვასილისძე ბახტაძეები ცოლშვილით იუწყებიან საყვარელი დის
ეკატერინე ბახტაძე-ედიშერაშვილის
გარდაცვალებას სამოქ. პანაშვიდი 7 ს. გამოსვენება 3 ივნისს 5 ს. მოსკოვის ქ. № 11, ვერის სასაფლაოზე. 659

და ნინო შვილებით: ვასილი მეფულეთ ვეტაური და ეკ.ერი ფრანგიშვილები იუწყებიან უძვირფასეს დის და დედის
ეკატერინე ვასილის ასულ ედიშერაშვილის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 7 ს. გამოსვენება 3 ივნისს, 5 ს. მოსკოვის ქ. № 11 ვერის სასაფლაოზე 654

ღრმად დამწუხრებული დედა ტერეზინა, ცოლი პაშა, შვილები: გიგლა, ირაკლი, ბიძები, ბიცოლები ყუფარაძეები თავიანთი შვილებით მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ
მიხაკო ირაკლის-ძე ყუფარაძის
ტრაღიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. კვახჭირში 4 ივნისს. 671

დამწუხრებულები: ძმა სევეროხე ცოლშვილით: ნინო და ანზორით მუსერიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს ძვირფას
ალექსანდრე ივანეს-ძე მუსერიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 3 ივნისს, ქ. ახალსენაკში. 647

ცოლი ელისაბედი, შვილები: ლუბა, ალიოშა შვილებით, რძალი ოლია, სიძე დათიკო ჯღუღელი იუწყებიან, რომ დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დედა შვილის
სალომე და ნესტორ ცანავების
ხსოვნის აღსანიშნავად 4 ივნისს ქ. ზუგდიდში 635

მეფულე ნადეჟდა, შვილი ირაკლი, რძალი დარეჯანი და შვილი ნუკზარ მალალაშვილები აუწყებენ ხაზოგადოებას ძვირფას
გიორგი ლევანის-ძე მაღალაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 3 ივნისს, 5 ს. მოსკოვის ქ. № 32, ვერის სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 7 ს. 652

მშობლები. ხაჭარია, მარიამი, ძმები: გიორგი, მიხეილი, და მარგარიტა, რძალი თამარი, ძმისშვილი ოთარი იუწყებიან, რომ 3 ივნისს 6 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ
კოტე თოიძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 651

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: ბაბუა თოძა, ბებია მარიამი, ბიძები: დათიკო და ხაშა, დეიდები: ანიკო და ქალენა ნაცვლიშვილები აუწყებენ ხაზოგადოებას რომ გარდაიცვალა მათთვის ხაყვარელი
ტატიანა უგულავა
დაკრძალვა ქუთაისში. ნ. 70

თავხარდაცემული ცოლი ბალიკო, შვილებით სერიოჟა და ვერიკო დასტირიან მათი ნუგეშის, უსაყვარლ